ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29.29221243**
თარიღი:**04/05/2022**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ევროპული საქართველოს“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 30–ე, 38-ე მუხლებისა და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N7 დადგენილების 35-ე მუხლის, იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 14 აპრილის N 6 დასკვნისა და საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 14 აპრილის სხდომის გადაწყვეტილებით საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. ცნობად იქნას მიღებული ფრაქცია **,,ევროპული საქართველოს“** დაფუძნება და ფრაქცია რეგისტრირებულად ჩაითვალოს 2022 წლის 14 აპრილიდან.

მუხლი 2. განკარგულება ჩაბარდეს ტარიელ ფანჩულიძეს ფრაქცია ,,ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარეს.

მუხლი 3. განკარგულება ფრაქციის დაფუძნების შესახებ გაეგზავნოს სსიპ ,,საჯარო სამსახურის ბიუროს'' და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმომწერისთანავე.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM